

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა პროცედურული ტრენინგების კონცეფცია 2019 წლის 19 მაისის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნებისთვის

კონცეფცია ითვალისწინებს პროცედურული ტრენინგების ჩატარებას ორ ეტაპად N11 საგარეჯოს, N18 ახმეტის, N38 ადიგენის და N60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქებში შემავალი 9 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის. ტრენინგებს ჩატარებას უზრუნველყოფენ სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებული ტრენინგები.

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა პროცედურული ტრენინგების დაწყებამდე გათვალისწინებულია ინსტრუქტაჟის ჩატარება კომისიის პირველ სხდომაზე ხელმძღვანელი პირების არჩევის წესთან დაკავშირებით. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის ინსტრუქტაჟის ჩატარებას უზრუნველყოფენ საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სასწავლო ხასიათის ინსტრუქციის მიხედვით.

განხორციელების პერიოდი: 16-18 აპრილი, 2019 წელი

პროცედურული ტრენინგების სისტემა

I ეტაპი დაეთმობა საუბნო საარჩევნო კომისიების სრული შემადგენლობის სწავლებას. სასწავლო პროგრამის ფარგლებში მონაწილეები გაეცნობიან შემდეგ ძირითად საკითხებს:

- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე პერიოდში, მათ შორის, საუბნო საარჩევნო კომისიის კომპეტენცია ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით;
- კენჭისყრის დღეს საარჩევნო ოპერაციების მართვა და ხმის მიცემის პროცესში ამომრჩეველების საარჩევნო უფლებების რეალიზების ხელშეწყობის პროცედურული მექანიზმები;
- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობა;
- ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვა;
- საოლქო საარჩევნო კომისიასთან კომუნიკაცია/კოორდინაცია;
- კენჭისყრის შედეგების შეჯამება საუბნო საარჩევნო კომისიაში და კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმის შევსება;
- კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები.

საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ წევრთა პროცედურული ცოდნის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, ტრენინგი ჩატარდება კომბინირებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, მათ შორის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავების უზრუნველსაყოფად მონაწილეები განახორციელებენ ეპიზოდურ ინსცენირებებს. პრაქტიკული სწავლების ფარგლებში, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები ასევე გაეცნობიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა კენჭისყრაში მონაწილეობის საკითხებს ვიდეო-რგოლის ჩვენებით და შესაბამისი ინსტრუქტაჟის მიღებით.

I ეტაპის პროგრამის ხანგრძლივობა: 4.30 საათი

I ეტაპის განხორციელების პერიოდი: 4-9 მაისი, 2019 წელი

II ეტაპი დაეთმობა საუბნო საარჩევნო კომისიების სრული შემადგენლობის სწავლებას. ტრენინგების ფარგლებში საუბნო კომისიების წევრები პრაქტიკულად განახორციელებენ კენჭისყრის დღის ეპიზოდურ ინსცენირებას (ეპიზოდური ინსცენირება ითვალისწინებს კენჭისყრის დღის დილის 07:00 საათიდან - 08:00 საათამდე ჩასატარებელი პროცედურების, კენჭისყრის შენობის დახურვის/ხმის დათვლის პროცედურებისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პრაქტიკული სავარჯიშოს შესრულებას). ტრენინგის მონაწილეები ასევე გაეცნობიან კენჭისყრის დღეს ფოტო-ვიდეოგადაღების რეგულაციებსა და არჩევნების უსაფრთხოების საკითხებს.

II ეტაპის პროგრამის ხანგრძლივობა: 2.00 საათი

II ეტაპის განხორციელების პერიოდი: 11 - 12 მაისი, 2019 წელი